

IRAO

VIENNA INSURANCE GROUP

სესხზე მიბმული სიცოცხლის დაზღვევის პირობები

დანართი N1 - სს მისო ქართული კრედიტის სესხზე მიზნული სიცოცხლის დაზღვევის პირობები

1. ტერმინთა განმარტება

დაზღვევის ხელშეკრულების (პოლისის) მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. **მზღვეველი** - სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“ (ს/კ 205023856);
- 1.2. **დამზღვევე** - სს „მისო ქართული კრედიტი“ (ს/კ 206238800)
- 1.3. **დაზღვეული** - მსესხებელ(ებ)ი, რომლებიც სარგებლობენ სს „მისო ქართული კრედიტის“ ფიზიკური პირების საკრედიტო პროდუქტებით;
- 1.4. **მოსარგებლე** - სს „მისო ქართული კრედიტი“ (ს/კ 206238800);
- 1.5. **დაზღვევის ტერიტორია** - მთელი მსოფლიო;
- 1.6. **სადაზღვევო პერიოდი** - სესხის გაცემის თარიღიდან, სესხის ვადის ამოწურვამდე/ვალდებულებ(ებ)ის სრულად დაფარვამდე;
- 1.7. **სადაზღვევო თანხა და პრემია:**
 - 1.7.1. **სადაზღვევო თანხა** - თავდაპირველად დამტკიცებული სესხის თანხის ექვივალენტი
 - 1.7.2. **სადაზღვევო თანხა** ექვემდებარება შემცირებას, სესხის ძირის კლების პარალელურად და შესაბამისად უნდა მოხდეს პრემიის ყოველთვიური გადაანგარიშება
 - 1.7.3. **სადაზღვევო პრემია** - დამზღვევის მიერ გადასახდელი სადაზღვევო შესატანი/დაზღვევის ღირებულება, რომლის ოდენობა და გადახდის წესი მითითებულია სადაზღვევო პოლისში;
- 1.8. **მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტი** - სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის შესაბამისი სესხის ძირითადი თანხის დაუფარავი ოდენობა დარიცხული სარგებლისა და ჯარიმის გამოკლებით, მაგრამ არაუმეტეს ავტომატური დაზღვევის ფარგლებისა.
- 1.9. **სადაზღვევო ანაზღაურება** - მიმდინარე დაუფარავი სესხების ძირითადი თანხის ჯამური ოდენობა, დარიცხული სარგებლისა და ჯარიმის გამოკლებით, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა.
- 1.10. **სადაზღვევო შემთხვევა** - დაზღვეულის ნებისმიერი მიზეზით (მათ შორის უბედური შემთხვევის შედეგად) გარდაცვალება, რომელიც იწვევს წინამდებარე დაზღვევის პირობებით.
- 1.11. **უბედური შემთხვევა** - გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი შემთხვევა, გამოწვეული თვალსაჩინო გარეგანი ძალების ზემოქმედებით, რომელიც განაპირობებს დაზღვეულის გარდაცვალებას.
- 1.12. **სადაზღვევო დაფარვის/პრემიის ვალუტა:** სესხის ვალუტის შესაბამისი
- 1.13. **ხელშეკრულება** - დამზღვევსა და მზღვეველს შორის გაფორმებული სესხზე მიზნული სიცოცხლის დაზღვევის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებისა და მისი დანართების ერთობლიობა.
- 1.14. **ბორდერო** - ანგარიშგება, დანართი N2, დოკუმენტი, სადაც მოცემულია ინფორმაცია დაზღვეული/დასაზღვევი პირების შესახებ.

2. დაფარული რისკები

- 2.1. წინამდებარე დაზღვევით დამზღვევი აზღვევს საკუთარ ფინანსურ ინტერესს შემდეგ რისკებზე:
 - 2.1.1. დაზღვეული პირის გარდაცვალება ნებისმიერი ბუნებრივი მიზეზით;
 - 2.1.2. დაზღვეული პირის გარდაცვალება, გამოწვეული უბედური შემთხვევით;
- 2.2. დაზღვეულის ასაკი განისაზღვრება 18-დან 65 წლის ჩათვლით.

3. გამონაკლისები

- 3.1. წინამდებარე პირობების თანახმად, დაზღვეულის გარდაცვალების რისკის დადგომის შემთხვევაში დამდგარი ზარალი მზღვეველის მიერ არ ანაზღაურდება თუ ის პირდაპირ, ან არაპირდაპირ გამოწვეულია შემდეგი მოვლენებისგან:
 - 3.1.1. დაზღვევამდე არსებული დაავადებები;
 - 3.1.2. ომში (გამოცხადებული ან გამოუცხადებელი), სამოქალაქო ომში, აჯანყებაში, რევოლუციაში, გაფიცვაში, ხელისუფლების სამხედრო გადატრიალებაში დაზღვეულის ნებაყოფლობითი მონაწილეობა;
 - 3.1.3. მაიონიზირებელი გამოსხივება, გარემოს რადიაქტიული დაბინძურება, ბირთვული გამოსხივება;

- 3.1.4. ნარკოტიკული ნივთიერებების, ტოქსიკური, ფსიქოტროპული ან ალკოჰოლური ნივთიერებების ზემოქმედება;
- 3.1.5. საავიაციო რისკები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაზღვეული წარმოადგენს რეგულარული ან ჩარტერული ავიარეისის მგზავრს;
- 3.1.6. თვითმკვლელობა და თვითდაზიანება;
- 3.1.7. დაზღვეულის მონაწილეობა შემდეგი მაღალი რისკის მატარებელ აქტივობებში: საბრძოლო სახეობები, აკვალანგით ყვინთვა, კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, პარაშუტით ხტომა, ავტო და მოტო რბოლა, მღვიმეებსა და გამოქვაბულებში მოგზაურობა, მთაში ველოსიპედებით მოგზაურობა, ექსტრემალური სპორტის სახეობები წყალზე, ექსტრემალური სპორტის სახეობები, ავიაცია და მასთან დაკავშირებული სპორტის სახეობები და სხვა;
- 3.1.8. ავტომობილის მართვა შესაბამისი მართვის მოწმობის გარეშე;
- 3.1.9. სამედიცინო რჩევების შეუსრულებლობა (დაუსაბუთებელი უკმარისობა სამედიცინო რჩევის მიებაში ან მის შესრულებაში);
- 3.1.10. საქართველოს (ან გარდაცვალების ადგილის მიხედვით შესაბამისი ქვეყნის) სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში დაზღვეულის მონაწილეობა;

4. დაზღვევის ხელშეკრულება და მისი ძალაში შესვლის წესი

- 4.1. დაზღვევის ხელშეკრულება ძალაში შედის სს „მისო ქართული კრედიტი“ მიერ პოლისში მითითებული სესხის გაცემისთანავე.

5. პოლისის გაუქმების პირობები და დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

- 5.1. მზღვევლს უფლება აქვს ცალმხრივად გააუქმოს პოლისი, პირველივე თვეს პრემიის გადაუხდელობის გამო.
- 5.2. დაზღვევის ხელშეკრულება შეწყდება:
 - 5.2.1. დაზღვეულის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების სრულად შესრულების შემთხვევაში;
 - 5.2.2. დაზღვეულის გარდაცვალებისას;
 - 5.2.3. მოსარგებლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, დამზღვევსა და მზღვევლს შორის გაფორმებული წინასწარი წერილობითი შეთანხმებით.
 - 5.2.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6. სადაზღვევო პრემია და მისი გადახდის წესი

- 6.1. სადაზღვევო პრემიის ოდენობისა და მისი გადახდის წესის შესახებ ინფორმაცია განისაზღვრება ხელშეკრულებითა და მისი დანართებით.

7. სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების პროცედურა და ვადები

- 7.1. დაზღვეულის წარმომადგენელი (დაზღვეულის მემკვიდრე) მოსარგებლის მეშვეობით ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან უმოკლეს ვადებში, მაგრამ არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა, მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია მზღვევლს.
- 7.2. მზღვევლი ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ შეტყობინების მოსარგებლის მხრიდან მიღების შემდეგ გონივრულ ვადებში უზრუნველყოს დაზღვეულის წარმომადგენელთან დაკავშირება და შემდეგი საბუთების გამოთხოვა:
 - 7.2.1. დაზღვეულის გარდაცვალების მოწმობის დედანი ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლი;
 - 7.2.2. სამედიცინო ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება გარდაცვალების გამომწვევი მიზეზ(ებ)ი და დაავადების განვითარების სტადიები;
 - 7.2.3. გარდაცვალების ეპიკრიზის (ამონაწერი ავადმყოფობის ისტორიიდან) ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

- 7.2.4. დაზღვეული პირის უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევაში, შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ შედგენილი და ხელმოწერილი აქტი;
- 7.2.5. დაზღვეულის სრული მუდმივი ქმედუნარობის დადგომის შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება პირის ქმედუნაროდ ცნობის თაობაზე (აღნიშნული საბუთის წარმოდგენა დამზღვევის მიერ აუცილებლობას წარმოადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველის მიერ კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების ზუსტად განსაზღვრისათვის აუცილებლად ჩათვლის მის მოთხოვნას) და შესაბამისი სამედიცინო დასკვნა;
- 7.2.6. სასესხო ხელშეკრულების ასლი;
- 7.2.7. დაზღვეულის პირადობის მოწმობის ასლი.
- 7.3. კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველი იტოვებს უფლებას მოითხოვოს წინამდებარე მუხლში ჩამოთვლილი საბუთებისგან განსხვავებული დამატებითი საბუთების წარმოდგენა კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების ზუსტად დადგენის მიზნით.
- 7.4. კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მზღვეველი იტოვებს უფლებას გარდაცვალების მიზეზის ან ქმედუნარობის ხარისხის დაზუსტების მიზნით ჩაატაროს/მოითხოვოს დამატებითი მოკვლევა/ექსპერტიზა. ასეთი გამოკვლევა/ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას წინ უნდა უძღოდეს დაზღვეულის წარმომადგენელთან (მემკვიდრე) და მოსარგებლესთან შეთანხმება.
- 7.5. დამატებით მოკვლევა/ექსპერტიზასთან დაკავშირებული ხარჯები დაზღვეულის წარმომადგენელს (მემკვიდრეს) და მზღვეველს შორის ნაწილდება შემდეგი პრინციპის მიხედვით:
 - 7.5.1. იმ შემთხვევაში, თუ ჩატარებული მოკვლევა/ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადგინდა, რომ სადაზღვევო შემთხვევა ექვემდებარება ანაზღაურებას, ექსპერტიზის ხარჯები მზღვეველის მიერ გამოიქვითება გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურებიდან.
 - 7.5.2. იმ შემთხვევაში, თუ ჩატარებული მოკვლევა/ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადგინდა, რომ სადაზღვევო შემთხვევა არ ექვემდებარება ანაზღაურებას, ექსპერტიზის ხარჯები თანაბრად განაწილდება დაზღვეულის წარმომადგენელს (მემკვიდრეს) და მზღვეველს შორის.
- 7.6. მზღვეველი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას დაზღვეულის (მსესხებლის/თანამსესხებლის) გარდაცვალების დღისთვის არსებულ მიმდინარე დავალიანებას - სესხის ძირითადი თანხა - მხოლოდ წინამდებარე პირობების შესაბამისად და სესხში დაზღვეულს (მსესხებლის/თანამსესხებლის) წილობრივი მონაწილეობის გათვალისწინებით.
- 7.7. დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში პირობებით განსაზღვრული ყველა აუცილებელი დოკუმენტაციის მიღების შემდგომ მზღვეველი 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში გასცემს მოსარგებელზე წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად განსაზღვრულ სადაზღვევო ანაზღაურებას ან უარს ეტყვის მოსარგებლეს ანაზღაურებაზე.
- 7.8. უბედური შემთხვევით გამოწვეული დაზღვეულის სრული მუდმივი ქმედუნარობის დადგომის შემთხვევაში (რომელიც დადგინდება უბედური შემთხვევის დადგომიდან 6 (ექვსი) თვის გასვლის შემდეგ) პირობებით განსაზღვრული ყველა აუცილებელი დოკუმენტაციის მიღების შემდგომ მზღვეველი 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში გასცემს დაზღვევის პირობების შესაბამისად განსაზღვრულ სადაზღვევო ანაზღაურებას ან უარს იტყვის ანაზღაურებაზე.

8. ფორს-მაჟორული გარემოება

- 8.1. ფორს-მაჟორის შემთხვევაში მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე პირობების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შესრულებისაგან. მზღვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს ზიანი, რომელიც გამოწვეულია აღნიშნული გარემოების დადგომის შედეგად;
- 8.2. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია ფორს-მაჟორის დადგომიდან ან ფორს-მაჟორის შეტყობიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებადობის შესახებ. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი, შემდგომში უნდა დამოწმდეს (დადასტურდეს) საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ;
- 8.3. თუ ფორს-მაჟორი ერთ თვეზე მეტხანს გრძელდება, ან მის გამო დაზღვევის აღსრულების დაყოვნებამ მხარე(ებ)ის ინტერესის დაკარგვა გამოიწვია, მაშინ მხარეები თანხმდებიან დაზღვევის გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ.

9. დავათა გადაწყვეტა

- 9.1. წინამდებარე დაზღვევის პირობებთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, დავა განიხილება და გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს საერთო სასამართლოსათვის მიმართვის გზით.

10. კონფიდენციალობა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

- 10.1. მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის ნებისმიერი ფორმით (ზეპირი ან წერილობითი) მიწოდებული ყველა ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად და არ შეიძლება მისი მესამე პირისათვის გადაცემა მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 10.2. მზღვეველი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და ამუშავებს დამზღვევის / დაზღვეულის / მოსარგებლის / დირექტორის / ბენეფიციარი მესაკუთრის პერსონალურ, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს დაზღვევის ხელშეკრულების დასადასტურებლად, ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, საქართველოს კანონმდებლობით მზღვეველისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, მზღვეველის ინტერესების დასაცავად, მათ შორის და არამხოლოდ ორმაგი დაზღვევის მიზნებისთვის ან/და კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
- 10.3. დამზღვევი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მზღვეველი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსგან, მათ შორის, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსგან, სსიპ შსს მომსახურების სააგენტოსგან მოითხოვოს/მიიღოს/გადაამოწმოს/დამუშაოს მისთვის აუცილებელი დამზღვევის / დაზღვეულის / მოსარგებლის პერსონალური მონაცემები.
- 10.4. მზღვეველი თავის მხრივ, უფლებამოსილია შეინახოს და გადასცეს დამზღვევის / დაზღვეულის / მოსარგებლის პერსონალური მონაცემები კანონმდებლობით და ხელშეკრულებით დადგენილი წესით სახელმწიფო ორგანიზაციებს, გადამზღვეველ/პროვადერორგანიზაციებს.
- 10.5. დამზღვევი აცხადებს თანხმობას, რომ მზღვეველი უფლებამოსილია, სადაზღვევო მომსახურების ხარისხის ან/და დაზღვევასთან დაკავშირებული კვლევების მიზნით დამუშაოს დამზღვევის / დაზღვეულის / მოსარგებლის პერსონალური მონაცემები, მათ შორის, აღნიშნული მონაცემები ხელმისაწვდომი გახადოს გადამზღვეველი ორგანიზაციებისთვის.
- 10.6. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამზღვევი მზღვეველს ანიჭებს უფლებას და იღებს ვალდებულებას საჭიროების შემთხვევაში გასცეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დამატებითი წერილობითი თანხმობა, რათა მზღვეველმა შეუფერხებლად აწარმოოს მოკვლევა დამზღვევის / დაზღვეულის / მოსარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და/ან სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ნებისმიერი დოკუმენტაციის/ინფორმაციის მოპოვება სახელმწიფო, კერძო თუ სხვა სახის ორგანიზაციებში სადაზღვევო ხელშეკრულების რისკების კონტროლისთვის, სადაზღვევო ანაზღაურებისთვის აუცილებელი ინფორმაციის გადამოწმების და მისი ნამდვილობის დადასტურების მიზნით.
- 10.7. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამზღვევი აცხადებს თანხმობას, რომ მიიღოს სრული ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების მიზნების, მოცულობების, მისი და, არსებობის შემთხვევაში, მის მიერ მითითებულ პირთა, როგორც მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის უფლებების შესახებ, კერძოდ, მზღვეველისგან მის მიერ მითითებული პერსონალური მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის მონაცემების დამუშავების თაობაზე ინფორმაციის მიღების, მონაცემთა დამუშავების შესახებ გაცემული თანხმობის სრულად ან/და ნაწილობრივ გამოხმობაზე, მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, დაბლოკვის, წაშლის და განადგურების თაობაზე.
- 10.8. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამზღვევი ადასტურებს, რომ დაზღვეულის/მოსარგებლის პერსონალური მონაცემების მის მიერ მზღვეველისათვის მიწოდების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მონაცემთა სუბიექტების ინფორმირება და ნებაყოფლობითი თანხმობა მათი პერსონალური მონაცემების მზღვეველის მიერ დამუშავების თაობაზე და დამზღვევი სრულად არის პასუხისმგებელი აღნიშნული მონაცემების მოპოვებაზე, დამუშავებაზე და მზღვეველისათვის გადმოცემაზე.
- 10.9. მზღვეველი ადასტურებს, რომ დანერგილი აქვს ყველა ტექნიკური ან ორგანიზაციული ზომა და ახორციელებს ყველა აუცილებელ ქმედებას, რათა დაიცვას დამზღვევის / დაზღვეულის / მოსარგებლის/დირექტორის/ბენეფიციარის

პერსონალური მონაცემების არაავტორიზებული ან უკანონო დამუშავება, მათი დაკარგვა, განადგურება, დაზიანება, არაავტორიზებული ცვლილება ან გასაჯაროება.

11. სანქციის პირობა

- 11.1. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი უზრუნველყოს სადაზღვევო დაფარვა, წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის ზარალის ანაზღაურება ან რაიმე სახის მომსახურების თუ სარგებლის მიწოდება იმ შემთხვევაში, თუკი ამგვარი მოქმედება მზღვეველის მხრიდან გამოიწვევს იმ სანქციების, აკრძალვების, შეზღუდვების დარღვევას, რომელიც გამომდინარეობს: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებიდან, ვაჭრობის და ეკონომიკურ სფეროში არსებული სანქციებიდან, ევროკავშირის, საქართველოს და შეერთებული შტატების კანონებიდან და რეგულაციებიდან (იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ქმედება არ არღვევს მზღვეველზე გავრცელებად რეგულაციებს ან შიდა კანონმდებლობას).